<u>დანართი 14</u>

<u>პასუხი „Flora and Fauna International”</u>

,,ფლორა და ფაუნა ინტერნეშენალის“ წერილში ყურადღება გამახვილებულია ზუთხისებრთა ჰაბიტატზე. როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა მსჯელობის საგანს საქართველოს მთავრობასთან გასაფორმებელი, ნამახვანის ჰესების კასკადის ,,მშენებლობა-ფლობა-ოპერირების“ ხელშკრულების (BOO) განხილვისას და შესაბამისი დებულებები ასახულ იქნა BOO-ს პუნქტი 5.2., 5.3-ში.

სწორედ ამიტომ, ჩვენ არ ვიძლევით ცალკეულ პასუხებს ზუთხისებრთა ჰაბიტატთან დაკავშირებულ თითოეულ საკითხზე, რადგან აღნიშნული რეგულირდება ,,მშენებლობა-ფლობა-ოპერირების“ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, რომელიც მოითხოვს ზუთხისებრთა ჰაბიტატის კვლევების დასრულებას ოპერირების პერიოდამდე 1 წლით ადრე.

გვსურს, ზუთხისებრთა ჰაბიტატთან დაკავშირებული საკითხების მიღმა, ვუპასუხოთ,,ფლორა და ფაუნა ინტერნეშენალის“ მიერ გამოგზავნილ წერილში მოხსენიებულ სხვა საკითხებს:

- წერილში ნახსენებია დაცული ტერიტორიების იდენტიფიცირების ნაკლებობა, რაც უკვე პასუხგაცემულია გზშ ანგარიშის პუნქტში 5.2.6.4 და არარსებული გეგმები აშკარად ვერ იქნება რელევანტური ანგარიშის მიზნისათვის.
- ტურბინაში გამავალი თევზების სიკვდილიანობის მაჩვენებლის საკითხი სრულყოფილადაა განხილული გზშ ანგარიშში და გვჯერა, რომ არსებული პოპულაცია არ მოიცავს არ მოიცავს ამ კალკულაციას.
- არეალის 10ჰექტარი მიწით გაზრდით გამოწვეული შედეგები განხილულია გზშ ანგარიშში, სადაც ნათლადაა ნაჩვენები, რომ დამატებითი მიწის ტერიტორიაზე არ არსებობს რაიმე სახის განსხვავებული ჰაბიტატი ან გამოუვლენელი მცენარეთა ჯიშები.
- ბიომრავალფეროვნების აღდგენის გეგმასა და შემარბილებელ ღონისძიებებს უკვე მოიცავს ვალიდური გარემოსდაცვითი ნებართვა.